ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №687544

ნომერი: AR1128871

თარიღი : 01.05.2013

გაცემის თარიღი : 22.05.2013

გაცნობის თარიღი : 22.05.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გროზნო , N 13 , (ნაკვეთი 051/021) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა კილასონია პ/ნ 39001029477
- სენაკი ს. ნოსირი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.02.2013 წ. 542681 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 05/01/2013 წელს AR1128871 განცხადებით მომართა კობა კილასონიამ და მოითხოვა 13.02.2013 წ. 542681 გადაწყვეტილებით დადგენილი სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 17.04.12 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 132890 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში, გროზნოს ქუჩა #13–ში, #01/16/03/051/021 საკადასტრო ერთეულზე, საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2–ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად დადგენილ იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. მშენებლობის ნებართვის გაცემის სამ სადიანი პროცედურა გაგრძელებულ იქნა 132890 გადაწყვეტილების საფუძველზე – 05.06.12 წელს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად #198569 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ #01/16/03/051/021 საკადასტრო ერთეულზე, საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2–ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის #542681 გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. როგორც დამკვეთი კობა კილასონია განმარტავს, მას არ გააჩნია ინტერესი აღნიშნული აქტის საფუძველზე გააგრძელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ვინაიდან, მას უკვე გააჩნია 132890 გადაწყვეტილება და მის საფუძველზე გაცემული მშენებლობის ნებართვა.

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის: ნებართვის მფლობელის მოთხოვნა. ვინაიდან, დამკვეთს არ გააჩნია ინტერესი 13.02.2013 წ. 542681 გადაწყვეტილების საფუძველზე გააგრძელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ძალადაკარგულად გამოაცხადოს აღნიშნული აქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლისა და ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.02.2013 წ. 542681 გადაწყვეტილებ;
2. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.